საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თელავის საგზაო სამმართველო"-ს (ს/კ 4231167607) დირექტორი

ბ-ნი თენგიზი გვერდელაშვილის

ელ.ფოსტა. telavissagzao@yahoo.com

მობ. 599 27-01-45; 599 56-73-86

№24. 22.10.21.

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თელავის საგზაო სამმართველო"-ს, თელავის რაიონი, სოფელი ვარდისუბანი, ს/კ 53.08.42.264, გააჩნია ფუნქციონირებადი ასფალტის ქარხანა ინერტული მასალების წარმოების დანადგართან ერთად, (GPS კოორდინატში X-536562.00 Y-4641005.00).

საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 650 მეტრით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თელავის საგზაო სამმართველო"-ს ასფალტის ქარხანა წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, რომელიც არის მემკვიდრეობ შპს "თელავავტოგზის", რომელზედაც შესაბამისად გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 2008 წლის 23 ოქტომბერს (№00145). 2016 წლის 16 აპრილის ბრძანება N№226-ის საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს "თელავის საგზაო სამმართველო"-ს.

საწარმოში, რომელზედაც არსებობს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ასფალტის ქარხანაში დამონტაჟებულია ""ДС-117-2Е" ტიპის ასფალტბეტონის დანადგარი, რომლის საპროექტო წარმადობა 35 ტ/სთ-ში..დანადგარი განკუთვნილია სხვადასხვა ასფალტბეტონის ნარევის მოსამზადებლად.

ასევე საწარმოს გააჩნია ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, CMD 39-40, რომლის წარმადობაა 33 ტ/სთ-ში. მსხვრევა მიმდინარეობს სველი მეთოდით. წლიურად სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარში წელიწადში 1200 სამუშაო საათით გადამუშავდება 39165 ტონა ბალასტი, საიდანაც მიიღება 19500 ტონა ქვიშა და 19500 ტონა ღორღი. აღნიშნული ინერტული მასალა გამოიყენება ასფალტის წარმოებისათვის.

საწარმოში განხორციელდა ექსპლოატაციის ცვლილებები, კერძოდ:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 19091
"25" 10 2021
2 ფ.
03

საწარმო წელიწადში 1200 სათიანი რეჟიმიდან გადავიდა წელიწადში 2080 სათიან რეჟიმში.

საწარმოს ორთქლის ქვაბი KB-300M ტიპის, რომლისგანაც გამომუშავებული სითბური ენერგია განკუთვნილია ბიტუმსაცავებში ბიტუმის თხევად მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და მათი ტრანსპორტირებისათვის, რომელიც მუშაობდა დიზელის საწვავზე (30 კგ/სთ), გადავიდა უფრო ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე, ბუნებრივ აირზე, რომლის საათობრივი ხარჯია 50 $მ^3$. ასევე გაიზარდა მისი წლიური მუშაობის რეჟიმი და გახდა 2080 საათი, ნაცვლად 1200 საათისა.

თქვენი წერილის (№5967/01, 15.06.2021) თანახმად, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა", ამიტომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თელავის საგზაო სამმართველო"-ს ასფალტის ქარხნისა და ინერტული მასალების წარმოების ქარხანაში ზემოთ აღნიშნული** ცვლილებებთან დაკავშირებით (წლიური სიმძლავრის გაზრდა, საქვაბეში საწვავის სახეობის შეცვლა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ასევე გაცნობებთ, რომ საწარმოს 2016 წელს, ზემოთაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისვ სამინისტროში შეთანხმებული აქვს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი".

პატივისცემით

თენგიზი გვერდელაშვილი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;